პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 226 (3710)

1968 წ. 19 ნოემბერი, სამშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета физической культуры и спорта при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

## ყოველი მხრიდან

### კარლოსმა და სმითმა გამოწვევა მიიღეს

როგორც კი ამერიკული ოლიმპიური ნაკრები მეხიკოდან ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნდა, „მეამბოხე" ჯონ კარლოსსა და ტომი სმითზე ახალი თავდასხმა მოაწყვეს.

აშშ-ს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა დ. რობიმ მოითხოვა გამოჩენილი მძლეოსნებისთვის საბოლოო დისკვალიფიკაცია მიეცათ და აეკრძალათ როგორც შინა, ისე უცხოურ შეჯიბრებებში მონაწილეობა. რობი იქამდე მივიდა, რომ კარლოსი და სმითი სამოყვარულო სტატუტის დარღვევაში დაადანაშაულა, რამდენადაც ისინი „ფულს" იღებდნენ სპორტული ფეხსაცმლის მწარმოებელი ფირმებისაგან". მაგრამ ეს ტყუილი მალე საპნის ბუშტივით გასკდა. როცა ჟურნალისტებმა დამამტკიცებელი საბუთები მოსთხოვეს, რობიმ უპასუხა: სამწუხაროდ, ჩვენი საბუთები დამაჯერებელი არ არისო.

კარლოსმა და სმითმა მიიღეს ამერიკის სპორტული ხელმძღვანელობის გამოწვევა. ახლა სპორტსმენები მთელს ქვეყანაში მოგზაურობენ, ამერიკის ახალგაზრდობას თავიანთ პატიოსან და სამართლიან პოზიციაზე უამბობენ. ასობით ადამიანი შეიკრიბა ვაშინგტონისა და ჰოვარდის უნივერსიტეტების წინ, რათა ჯონ კარლოსისთვის მოესმინა.

კარლოსმა განაცხადა, რომ მათ ინტერესებს დაიცავს ორი ადვოკატი — ერთი ლოს-ანჯელოსში, მეორე ნიუ-იორკში. კარლოსისა და სმითის თხოვნით კალიფორნიასა და ნიუ-იორკში უკვე დაიწყო საჭირო ძიება.

„როცა ოლიმპიური პასპორტები ჩამოგვართვა და მეხიკოდან გამოგვაძევა,—ამბობს კარლოსი,—ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა უხეშად დაარღვია აშშ-ს კონსტიტუცია. და მან პასუხი უნდა აგოს".

ამასთან, ამერიკის პრესაში გამოჩნდა საინტერესო ცნობები, რომლებიც ამხილებენ, ვინაა უკმაყოფილო რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ სპორტსმენთა ბრძოლით. აშშ-ს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელმა, რომელიც პრესის საკითხებს განაგებს, ბ. პაულმა აღიარა, რომ „სახელმწიფო დეპარტამენტმა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს მოსთხოვა ორივე სპორტსმენისთვის ჩამოერთმია ოლიმპიური პასპორტები".

კიდევ ერთი დამახასიათებელი ფაქტი: როცა ამერიკაში ცნობილი გახდა ჯონისა და ტომის პროტესტი, რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზანგ სპორტსმენთა მოძრაობის ხელმძღვანელის, პროფესორ ჰ. ედვარდსის ოთახში ტელეფონის ზარი გაისმა. ვიღაცამ ხრინწიანი ხმით წარმოთქვა: „დაუყოვნებლივ მიიღებთ 100 ათას დოლარს, თუ მეხიკოში ყველა პროტესტის შეწყვეტას ბრძანებთ და თქვენ მოძრაობას გააუქმებთ". ედვარდსმა აღშფოთებით დაკიდა ყურმილი. უკვე მეორე დღეს მან მიიღო ანონიმური ბარათი, რომელშიც ლინჩის წესით დასჯით ემუქრებოდნენ „შავ მაიმუნს".

### ბონის „უწინდებური პოზიცია"

დახურულ შენობაში ჩატარებულმა ველოსიპედისტთა ჩემპიონატმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ბონის პოლიტიკოსები არ აპირებენ ანგარიში გაუწიონ რეალობას და ცდილობენ კვლავ მთელი ძალით გააჩაღონ ცივი ომი სპორტში.

პირველობა კასელში (გფრ) ტარდებოდა. შეჯიბრების დაწყებამდე ზუსტად ერთი დღით ადრე გახდა ცნობილი, რომ დასავლეთგერმანული ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ქ. გიზელერმა ბრძანება გასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა არ გამოეტანათ და ჰიმნი არ შეესრულებინათ. ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გადაჭრით დაგმო დასავლეთ გერმანიის სპორტულ მოღვაწეთა პროვოკაციული მოქმედება და შეჯიბრების ორგანიზატორებს მოსთხოვა მკაცრად დაეცვათ საერთაშორისო ფედერაციის მიერ დამტკიცებული წესი, რომელმაც დიდი ხანია აღიარა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ველოსიპედისტთა კავშირი თავის თანაბარუფლებიან წევრად.

დასავლეთგერმანული კავშირის პრეზიდენტი ე. ჰაუკი იძულებული გახდა სიმართლე გაემხილა: „ბონის მთავრობამ, — თქვა მან, — აკრძალა გდრ-ის დროშები და ჰიმნი".

საერთაშორისო ფედერაციამ მხოლოდ იმ მიზნით თქვა უარი ყველა მონაწილე ქვეყნის დროშების გამოტანასა და ჰიმნების შესრულებაზე, რომ შეჯიბრება არ ჩაშლილიყო. მაგრამ ფედერაციის წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შემდგომში ეცდებიან შეჯიბრება ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ ჩატარდეს. გადაწყდა ისიც, რომ 1969 წლის ველოსიპედისტთა ჩემპიონატი დახურულ შენობაში გაიმართოს ერფურტში (გდრ).

ბონის მოღვაწეთა ამგვარ პოზიციასთან დაკავშირებით გდრ-ის გაზეთი „დოიჩეს შპორტ-ეხო" იძლევა შეკითხვას:

„გფრ-ის მთავრობას აქამდე არ მიუცია არავითარი გარანტია 1972 წლის მიუნჰენის ოლიმპიადის თაობაზე. ეს ნიშნავს, რომ ბონი აპირებს კვლავ გაატაროს გდრ-ის სპორტსმენთა დისკრიმინაციის პოლიტიკა. იქნებ სჯობდეს, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გაითვალისწინოს ეს ფაქტები და წინასწარ განიხილოს საკითხი ოლიმპიური თამაშების იმ ქვეყანაში გადატანის შესახებ, სადაც არავითარი დისკრიმინაცია არაა მოსალოდნელი?"

### 4 ტურის შემდეგ

გორი, 17 ნოემბერი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის საჭადრაკო მემორიალი.

გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ბ. გურგენიძემ მოუგო ა. ბოკუჩავას, ზ. მიქაძემ — ი. ჩიქოვანს. ე. ჟბილავა — ნ. გაფრინდაშვილისა და ბოკუჩავა — გ. მუკნიაშვილის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. პირველი ორი ტურიდან გამოტოვებულ პარტიებში (ე. გელერი — ე. გუფელდი და მ. ტალი — გელერი) ყაიმი აღინიშნა.

დღეს გაიმართა IV ტური. ტალმა დაამარცხა მუკნიაშვილი, ჩიქოვანმა — ლ. გრიგორიანი. გელერ — გურგენიძის, გაფრინდაშვილ — რ. ჯინჯიხაშვილის, გუფელდ — მიქაძისა და ბოკუჩავა — ე. ჟბილავას პარტიები ყაიმით დასრულდა.

4 ტურის შემდეგ დაწინაურდა გურგენიძე, რომელსაც 3 ქულა აქვს. გაფრინდაშვილსა და ჯინჯიხაშვილს 2,5-2,5 ქულა აქვთ.

სურათზე: თამაშობენ ჯინჯიხაშვილი (მარცხნივ) და გაფრინდაშვილი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



## გაიმარჯვა „დინამომ"

გუშინწინ სპორტის სასახლეში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გუნდური გათამაშება კრივში. შეჯიბრების ბოლო დღეს რინგის კვადრატზე ერთმანეთის პირისპირ დადგნენ დინამოელი და პროფკავშირელი სპორტსმენები.

პირველივე წყვილმა ისეთი დაძაბული და საინტერესო ბრძოლა გააჩაღა, რომ აშკარა შეიქნა — რომელიმე გუნდის იოლ გამარჯვებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო.

პროფკავშირელი ა. სემიონოვი რინგზე ეკონომიურად მოქმედებდა, მეტოქის — რ. ავაქოვის შეტევებს კონტრშეტევებით უპასუხებდა, რამაც მას საბოლოოდ გამარჯვება მოუტანა.

მომდევნო წყვილის ვ. ხოროშკოვისა და დინამოელ ი. ვიალჩენკოვის შეხვედრა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო და საინტერესო სანახაობას გვპირდებოდა, როცა დინამოელმა აკრძალულ დარტყმას მიმართა და დისკვალიფიცირებულ იქნა.

ქვემსუბუქ წონაში პროფკავშირელ მ. არუთიუნოვს მეტოქე არ გამოუცხადდა და გუნდს ქულა ჩაეწერა.

ძალიან საინტერესო იყო მეორე ქვესაშუალო წონის მოკრივეების ლ. ოჰანესიანისა და დინამოელ რ. აბდრახმანოვის ორთაბრძოლა. ორივე მოკრივემ სამი რაუნდის მანძილზე ტექნიკური, ლამაზი კრივი აჩვენა. როცა ბრძოლა დამთავრდა, მსაჯებს გაუჭირდათ რომელიმე მათგანისთვის უპირატესობის მინიჭება. მაინც გამარჯვებულად სცნეს აბდრახმანოვი, რომლის შეტევები უფრო ზუსტი იყო.

პირველი საშუალო წონის მოკრივეების გ. ჩუბარინისა და დინამოელ ვ. ტერაუდსის შეხვედრაში დინამოელი ორი რაუნდის მანძილზე ეძებდა მომენტს, რომ მეტოქისთვის მარჯვენა ხელით დარტყმა მიეყენებინა, მაგრამ ეს მომენტი ვერ იქნა და ვერ მოძებნა. მესამე რაუნდში ტერაუდსი გააქტიურდა და რამდენიმე ძლიერი დარტყმა მიაყენა მეტოქეს, რამაც მას გადამწყვეტი უპირატესობა მოუტანა.

დანარჩენ წონით კატეგორიებში ბრძოლა ასე დამთავრდა: ქვემსუბუქ წონაში ბ. კოშევინმა მოუგო ვ. ტკაჩენკოს (პროფკავშირები), მსუბუქში — მ. მარქარიანმა ვ. კუდრიაკოვს („დინამო"), პირველ ქვესაშუალოში — ვ. კაპიტონოვმა („დინამო") ო. სტაშკოვს, მეორე საშუალოში — ვ. უტეშოვმა („დინამო") ი. ევსტიგნეევს. ქვემძიმე წონის მოკრივეების ი. ლუსინშისა და ვ. მინაკოვის („დინამო") ორთაბრძოლაში ლუსინშმა წარბი დაიზიანა და გამარჯვება დინამოელს მიეკუთვნა. მძიმე წონაში ვ. კარლოვისა (პროფკავშირები) და ლ. კრიუკის შეხვედრაში გაიმარჯვა პროფკავშირელმა. საბოლოოდ შეჯიბრების ანგარიშია 6:5 დინამოელთა სასარგებლოდ.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. „დინამო", 2. პროფკავშირები, 3. „სპარტაკი", 4. „ზენიტი". პირველი ორი გუნდი მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის თასის ფინალურ შეჯიბრებაში, რომელიც ლენინგრადში მოეწყობა 14-21 დეკემბერს.

ასპარეზობის შემდეგ მოკრივეებს გადაეცათ დაწესებული პრიზები. დინამოელმა ი. ვიალჩენკოვმა და ზენიტელმა ვ. ოშჩუკოვმა მიიღეს პრიზი ყველაზე ლამაზი ბრძოლისთვის. დინამოელთა შორის საუკეთესო მოკრივის პრიზი დაიმსახურა რ. აბდრახმანოვმა, ხოლო პროფკავშირელთა შორის საუკეთესოსი — ვ. ხოროშკოვმა.

ა. ცეხანელი.

სურათზე: თბილისელ მ. მარქარიანისა (მარჯვნივ) და ვ. კუდრიაკოვის (ტაშკენტი) ბრძოლის მომენტი.

ფოტო ბ. გიგაურისა.

## საათი

◆ ალჟირი, 18 ნოემბერი. მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მასპინძლებმა წააგეს ტუნისის გუნდთან — 1:2. განმეორებითი შეხვედრა გაიმართება ტუნისში.

◆ ბერლინი, 18 ნოემბერი. აქ გამართულ მოციგურავეთა საერთაშორისო ასპარეზობაში ბ. გულიაევმა 500 მეტრზე რბენაში აჩვენა 42,6 წამი. ი. ეგოროვა პირველი იყო 1500 (2.34,2), ხოლო ა. ბუიანოვა 1000 მეტრზე (1.41,0) შეჯიბრებაში. ასპარეზობაში გამოდიოდნენ გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთისა და სსრ კავშირის სპორტსმენები.

◆ დასავლეთ ბერლინი, 18 ნოემბერი. დახურული შენობებისთვის ახალი მსოფლიო რეკორდის მფლობელი გახდა მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ე. ჰოლი (აშშ). მან 60 მ თარჯრბენში აჩვენა 7,6 წამი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ათჭიდში ბ. ტუმეიმ გაიმარჯვება იზეიმა ხუთჭიდში. მისი შედეგია 3947 ქულა. მეხიკოს თამაშების ჩემპიონმა 400 მეტრზე რბენაში კ. ბესონმა (საფრანგეთი) არც აქ დათმო პირველი ადგილი — 54,2. ვაჟებში იმარჯვა ჰ. მიულერმა (გფრ) — 47,0. ამერიკელი ჩ. გრინი ფინიშთან პირველი იყო 60 მეტრზე რბენაში — 6,6. 800 მეტრზე ყველას აჯობა დანიელმა გ. ლარსენმა — 1.52,4.

◆ კარლ-მარქს-შტადტი, 18 ნოემბერი. გდრ-ის ამ ქალაქში გამართულ ფიგურული სრიალის ოსტატთა საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოვლინდნენ პირველი გამარჯვებულები. წყვილთა სრიალში ყველას აჯობეს ლ. სუსლინამ და ა. ტიხომიროვმა (სსრ კავშირი). ერთეულთა ასპარეზობაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა გ. ცელერმა (გდრ).

◆ ბუქარესტი, 18 ნოემბერი. თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელებმა კიდევ 2 მატჩი გამართეს „ბუქარესტის თასზე". მათ იუგოსლავიის ეროვნულ გუნდთან ფრედ — 20:20 ითამაშეს, ხოლო მასპინძლების ნაკრებთან დამარცხდნენ — 20:28.

◆ ოსლო, 18 ნოემბერი. ნორვეგიის დედაქალაქში გაიმართა საერთაშორისო მატჩი ბურთიან ჰოკეიში. ითამაშეს მასპინძელთა და შვეციის ეროვნულმა ნაკრებმა გუნდებმა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 4:0.

# ასზე მეტი მონაწილე

ქაშპში გაიმართა სამბისტთა რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა „ბურევესტნიკის", „დინამოს", „განთიადის", „სპარტაკის", „ლოკომოტივისა" და ასკ-ს 1000-ზე მეტი ათლეტი.

გუნდური პირველობა „ბურევესტნიკის" წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს. II ადგილზეა „დინამო", III— „განთიადი".

მოგვყავს პრიზიორთა სამეულები:

**უმჩატესი წონა.** 1. გ. ყაყიჩაშვილი („განთიადი"), 2. თ. ხოსიტაშვილი (ასკ), 3. ვ. ზუკაკიშვილი („ბურევესტნიკი").

**მჩატე.** 1. შ. შაქარაშვილი („ბურევესტნიკი"), 2. ზ. სახვაძე („დინამო"), 3. ნ. ყირიმელი („კოლმეურნე").

**ქვემსუბუქი.** 1. ნ. ბეინიშვილი („დინამო"), 2. ო. ომაძე („ბურევესტნიკი"), 3. თ. ნონიკაშვილი („კოლმეურნე").

**მსუბუქი.** 1. რ. მაზანაშვილი („დინამო"), 2. ჯ. ჯღუთაშვილი (ასკ), 3. ნ. კელაპტრიშვილი („განთიადი").

**ქვესაშუალო.** 1. ვ. ბორჩაშვილი („ბურევესტნიკი"), 2. ა. იკაევი („განთიადი"), 3. მ. გელოვანი („სპარტაკი").

**საშუალო.** 1. ა. მარგველანი („განთიადი"), 2. ბ. ნიჟარაძე („დინამო"), 3. ვ. პავლიაშვილი (ასკ).

**ქვემძიმე.** 1. გ. ნონიკაშვილი („დინამო"), 2. ვ. იაშვილი („ბურევესტნიკი"), 3. დ. რევაზიშვილი („კოლმეურნე").

**მძიმე.** 1. გ. ონაშვილი („კოლმეურნე"), 2. ს. პატენკო („ბურევესტნიკი"), 3. ა. შაშვიაშვილი („განთიადი").

## შეჯიბრებები აღარ ეწყობა

ხოფელ ბაშის ფიზკულტურულ კოლექტივში ერთ დროს კარგად იყო საქმე, მაგრამ ბოლო წლებში ჩარხი უკუღმა დატრიალდა: სპორტული მოედნები პირუტყვის სათარეშოდ იქცა, აღარ ეწყობა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები. ახალგაზრდების მრავალგზის თხოვნას — დაეხმარონ სპორტული საქმიანობის გამოცოცხლებაში, ყურადღებას არავინ აქცევს.

როდემდე გაგრძელდება ასე?

**ა. კუპუხიძე.**
ზუგდიდის რაიონი.

# 45 ქულით

საქართველოს ტყვიის მსროლელთა პირად-გუნდური ჩემპიონატის მომდევნო ვარჯიში მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლა იყო. ცეცხლის ხაზზე პირველად ქალები გამოვიდნენ. წოლელა მდგომარეობიდან ყველაზე უკეთ ისროდა თბილისელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვ. კირეევა, რომელმაც 200-დან 197 ქულა დააგროვა და 4 ქულით ჩამოიტოვა სპორტის ოსტატები ლ. ქურული (თბილისი) და ლ. ალიხანოვა (აფხაზეთი). ჩოქელა სროლამ უპირატესობა ქურულს მოუტანა — 192, კირეევა მას 3 ქულით ჩამორჩა. დგომელა სროლაში ისევ ქურულმა იმარჯვა. ამჯერად მან 182 ქულა მოაგროვა, სტანდარტზე კი 600 შესაძლებლიდან 567 ქულა მოიპოვა და საქართველოს ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა. გამარჯვებულთან 9 ქულით წააგო ალიხანოვამ. კირეევამ დგომელა ვარჯიში მეტად უხეიროდ შეასრულა, მხოლოდ 167 ქულა მოაგროვა და საბოლოოდ იძულებული გახდა III ადგილს დასჯერებოდა — 553.

საინტერესო იყო ვაჟების შეჯიბრება. ცეცხლის ხაზზე გამოვიდა ტოკიოს ოლიმპიადის მეორე და მეხიკოს ოლიმპიადის მეოთხე პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი შ. ქველიაშვილი. წოლელა სროლის შემდეგ მან და წოლელა 60 გასროლაში საქართველოს წლევანდელმა ჩემპიონმა ს. ფარულავამ (ორივე — თბილისი) 200 შესაძლებლიდან მხოლოდ 2-2 ქულა დაკარგეს. მათ თითო ქულით ჩამორჩებოდნენ ქუთაისელი ოსტატი ვ. ახალაძე, ოსტატი ე. მალხასიანი და პირველთანრიგოსანი ვ. ხოხლოვი (ორივე — აფხაზეთი). ჩოქელა სროლაში ქველიაშვილმა, აგრეთვე, თბილისელებმა ე. აბაჯიანმა და ვ. ბარანოვმა 200-დან მხოლოდ 7-7 ქულა დაკარგეს. შეჯიბრების ლიდერმა შ. ქველიაშვილმა დგომელა სროლაში 182 ქულის მოგროვება შესძლო, რაც ამ ვარჯიშში მესამე შედეგი გახლდათ. ქველიაშვილს აჯობეს მხოლოდ თბილისელმა ოსტატებმა ლ. ოსტრიკოვმა (186) და აბაჯიანმა (185). როცა მსაჯებმა სამივე მდგომარეობიდან სროლის მაჩვენებლები შეაჯამეს, ქველიაშვილსა და აბაჯიანს ერთნაირი ბალანსი (573 ქულა თვითეულს) აღმოაჩნდათ, მაგრამ რესპუბლიკის ჩემპიონობა ქველიაშვილს დარჩა, ვინაიდან წოლელა მან უკეთესი შედეგი მოიპოვა. სტანდარტში ორივე სპორტსმენმა საქართველოს რეკორდი გაიმეორა, აბაჯიანმა კი დოსააფის რესპუბლიკური საბჭოს ახალი რეკორდიც დაამყარა. მალხასიანი III ადგილზე გავიდა — 565 ქულა.

გუნდურ შეჯიბრებაში თბილისელთა კვარტეტმა (ქველიაშვილი, აბაჯიანი, ოსტრიკოვი, პანკოვი) 2268 ქულა მოაგროვა და 45 ქულით გააუმჯობესა საქართველოს რეკორდი.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრზე სროლაში ჩემპიონი გახდა თბილისელი სპორტის ოსტატი ო. კუდრიავცევა — 270 ქულა. ქუთაისელი დები — სპორტის ოსტატები ტატიანა და თამარ კობოსნიძეები ამჯერადაც მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ. ტატიანამ 268 ქულა დააგროვა, უმცროსმა დამ — 237. გუნდური პირველობა დაისაკუთრა თბილისის ტრიომ (კუდრიავცევა, მ. ღვინერია, ტ. კაზარიანი).

შეჯიბრებაში კვლავ თბილისის გუნდი ლიდერობს.

**თ. ლეკიშვილი,**
სპორტის ოსტატი.

* * *

**სურათებზე:** მარცხნივ — დები ტატიანა და თამარ (მარჯვნივ) კობოსნიძეები. II პრიზიორი რევოლვერით ასპარეზობაში მ. ჟამურაშვილი.

ფოტო ავტორისა.

# შეჯიბრება სამ ჯგუფში

ბათუმის ქუჩებში გაიმართა მძლეოსნური კროსი. მონაწილენი სამ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. პირველ ჯგუფში ასპარეზობდნენ საშუალო სკოლების, მეორეში — ტექნიკუმებისა და პედინსტიტუტის, მესამეში — საწარმო-დაწესებულებათა სპორტსმენები. სულ სტარტზე 1230 მძლეოსანი გამოვიდა.

500 მეტრზე რბენაში გოგონათა შორის გამარჯვება ვ. ფედოსნიკოვას (მე-20 სკოლა) ხვდა. ამავე დისტანციაზე ქალთა შეჯიბრება მოიგო ლ. ხელაძემ (პედინსტიტუტი). 1000 მეტრზე მორბენალ ჭაბუკებში უძლიერესი იყო ვ. სლობოჟანიკოვი (მეშვიდე სკოლა), ვაჟთა შეჯიბრებაში დინამოელებს ვ. ზალიჩევსა და ა. კონდრატიენკოს ერთნაირი შედეგი (2.48,0) ჰქონდათ, მაგრამ ზალიჩევმა მეტოქეს მკერდით მიასწრო.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს: I ჯგუფში — მე-20 სკოლამ, II ჯგუფში — პედინსტიტუტმა, III ჯგუფში — „დინამოს" № 1 კოლექტივმა.

**ო. მურვანიძე,**
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

## ✦ ზუგდიდი

ქალაქის დოსააფის კომიტეტმა და სპორტკავშირმა მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში ჩაატარეს პირველობა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა 1-ლი საშუალო სკოლის ნაკრებმა. მასწავლებელთა პირად ტურნირში მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შეჯიბრება მოიგო ამავე სკოლის პედაგოგმა ა. დიდიშვილმა.

**ბ. ალშიბაია.**

## ახალი ამბები

● **ბაქო**, 17 ნოემბერი. აქ მიმდინარე სსრ კავშირის ჩემპიონატზე რუსულ შაშში ხუთი ტურის შემდეგ ლიდერობს ბაქოელი დიდოსტატი ი. არუსტამოვი, რომელსაც 4 ქულა აქვს.

● **ხარკოვი**, 17 ნოემბერი. აქ დამთავრდა „ბ" კლასის 4 გუნდის ტურნირი, რომელსაც უნდა გამოევლინა გაისად კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის „ა" კლასის მონაწილე. ეს უფლება მოიხვეჭეს ალმა-ათის რკინიგზელმა ვაჟებმა.

● **ლენინგრადი**, 17 ნოემბერი. დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა ტურნირი, რომელშიც 6 გუნდი ასპარეზობდა. გადამწყვეტ შეხვედრაში კაუნასის „ჟალგირისმა" მინიმალური ანგარიშით 67:66 დაამარცხა ლენინგრადის „სპარტაკი" და I ადგილი დაისაკუთრა.

● **რიგა**, 17 ნოემბერი. ბალტიისპირეთისა და ბელორუსიის დედაქალაქების კალათბურთელ ქალთა გუნდების შეჯიბრებაში გაიმარჯვეს რიგის ტტტ-ს სპორტსმენებმა, რომლებმაც გადამწყვეტი შეხვედრა მოუგეს ვილნიუსელებს — 75:47.

# სეზონის ფინიშზე

ამას წინათ თბილისის ზამთრის რესპუბლიკურ აუზში გაიმართა ბელორუსიის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ნორჩ მოცურავეთა პირადი სამატჩო შეხვედრა.

საქართველოს ნორჩმა სპორტსმენებმა პროგრამის 22 სახეობიდან თექვსმეტში იმარჯვეს, ხოლო დანარჩენ ექვს სახეობაში წარმატება ბელორუსიელებს ხვდათ წილად, აქედან სამი I ადგილი 15 წლის მინსკელი მოსწავლის მ. ბულინკოს ანგარიშზე მოდის. მან გაიმარჯვა 50 და 100 მეტრზე ბატერფლაით (30,4 და 1.09,0) და 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (2.35,3). ბულინკოს თანაგუნდელმა მ. სინოვამ ორი გამარჯვება იზეიმა — 50 მეტრზე თავისუფალი სტილითა და ბატერფლაით ცურვაში (33,4 და 30,5). ბელორუსიის გუნდს ბოლო გამარჯვება მოუპოვა 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გოგონათა შორის სსრ კავშირის რეკორდსმენმა ლ. შიხმა, რომელიც პირველი იყო 100 მეტრზე ბატერფლაით — 1.19,2.

საქართველოს მოცურავეთაგან ყველაზე კარგი შედეგი მოიპოვა მეხიკოს ოლიმპიური თამაშების დებიუტანტმა თ. ლეკვეიშვილმა, რომელმაც მოიგო 50 და 100 მეტრზე გულაღმა ცურვა (32,7 და 1.11,8). ამ ტურნირში სპორტის ოსტატის შედეგი მხოლოდ ლეკვეიშვილმა აჩვენა.

ყველაზე საინტერესო მაინც ესტაფეტები იყო. ვაჟთა ესტაფეტაში 10×50 მეტრზე თავისუფალი სტილით ბელორუსიის გუნდი სტარტიდანვე დაწინაურდა და მე-7 ეტაპამდე ლიდერობდა. მას კვალდაკვალ მიჰყვება საქართველოს გუნდი, რომელიც მე-7 ეტაპიდან დაწინაურდა და გაიმარჯვა კიდეც — 4.14,6. ბელორუსიელთა შედეგია 4.16,3. კომბინირებულ ესტაფეტაში მასპინძლებმა აჩვენეს 4.49,7 და 2,7 წამით მოუგეს II ადგილზე გასულ ბელორუსიელებს.

კიდევ უფრო მწვავე ბრძოლა გაჩაღდა გოგონათა ასეთსავე ესტაფეტებში. მთავარი მეტოქენი აქაც საქართველოსა და ბელორუსიის სპორტსმენები იყვნენ. ლიდერები თითქმის ყოველი ეტაპის შემდეგ იცვლებოდნენ და საბოლოოდ პირველობა ისევ საქართველოს გუნდს ხვდა — 4.42,6. ბელორუსიელები მას 0,2 წამით ჩამორჩნენ. მასპინძლებმა მოიგეს კომბინირებული ესტაფეტაც 10×50 მეტრზე — 5.25,7.

ამ შეხვედრამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ საქართველოს სპორტსმენები კომპლექსურ ცურვაში სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებს ჩამორჩებიან. 200 მეტრზე ვაჟთა კომპლექსურ ცურვაში საპრიზო სამეულში ჩვენი რესპუბლიკის ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ მოხვდა (ყველა საპრიზო ადგილი ბელორუსიელებმა მოიპოვეს). 200 მეტრზე გოგონათა კომპლექსურ ცურვაში ქუთაისელმა ი. ზოტოვამ I ადგილი დაიკავა, მომდევნო 6 ადგილზე კი ისევ ბელორუსიელები გავიდნენ. 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჩვენმა გოგონებმა ვერც ერთი საპრიზო ადგილი ვერ დაიკავეს.

**ა. გურასაშვილი.**

* * *



**სურათზე:** მინსკელი ლ. შიხი შეჯიბრების შემდეგ.

ფოტო ავტორისა.

# დიდი ფეხბურთის პრიზები

### ვეტერანის სახელობისა

გამოჩენილი საბჭოთა ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებულ ოსტატ გ. ფედოტოვის სახელობის პრიზი დაწესებულია ყველაზე უფრო შედეგიანი გუნდისთვის. წლევანდელ ჩემპიონატში მოსკოვის სპარტაკელებმა გაიტანეს 64 ბურთი და გახდნენ ამ პრიზის მფლობელები.

### 2 გუნდის ჯამში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაწესებული პრიზი ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობათა გუნდების საუკეთესო ჯამისთვის გადაეცა კიევის „დინამოს“.

### უძლიერესნი დუბლიორთა შორის

სათადარიგო შემადგენლობათა ტურნირში გამარჯვებისთვის დაწესებული ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის პრიზი გადაეცა კიევის „დინამოს“ დუბლიორთა კოლექტივს.

### კორექტულ გუნდს

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი კორექტული თამაშისთვის გადაეცა ოდესის „ჩერნომორეცს“..

### დიდი ანგარიშით

ყოველკვირეულ დამატება „ფუტბოლ-ჰოკეის“ დაწესებული აქვს პრიზი გუნდისთვის, რომელიც მოიგებს ყველაზე მეტ მატჩს 3 და მეტი ბურთის სხვაობით. პრიზის მფლობელი გახდნენ მოსკოვის დინამოელები, რომლებსაც 7 ასეთი გამარჯვება აქვთ.

### მოწინაალმდეგეთა მინდვრებზე

კიევის დინამოელებმა მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე 38 შესაძლებლიდან აიღეს 25 ქულა. მათ გადაეცათ უკრაინის გაზეთ „კომსომოლსკოე ზნამიას“ პრიზი.

### გამარჯვებისადმი სწრაფვა

ასეთი პრიზი აქვს გაკეთებული გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ რედაქციას. იგი გადაეცემა გუნდს, რომელმაც მოიგო ყველაზე მეტი მატჩი, სადაც ანგარიშში დაწინაურებული იყო მეტოქე. 3-3 ასეთი გამარჯვება აქვთ კიევის „დინამოს“, მოსკოვის „სპარტაკსა“ და ბაქოს „ნეფტჩის“, მაგრამ ვინაიდან ამ მატჩებში ყველაზე მეტი ბურთი გაქვითეს კიეველებმა (5), პრიზიც მათ გადაეცათ.

### 80—34

უკრაინის ჟურნალ „სტარტის“ პრიზი დანიშნულია „ა“ კლასის I და II ჯგუფების წარმომადგენელთათვის, რომელსაც გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო სხვაობა ექნება. პრიზის მფლობელი აღმოჩნდა ლვოვის „კარპატი“, რომელსაც საუკეთესო განსხვავება აქვს: 80—34.

### საუკეთესო მეკარეს

ჟურნალ „ოგონიოკის“ პრიზი ყოველწლიურად გადაეცემა სეზონის საუკეთესო მეკარეს. წლეულს ამ პრიზის მფლობელი გახდა ცსკა-ს მეკარე ი. პშენიჩნიკოვი.

### საუკეთესო სნაიპერები

ფეხბურთელი, რომელიც საკავშირო ჩემპიონატში გაიტანს ყველაზე მეტ ბურთს, ჯილდოვდება გაზეთ „ტრუდის“ პრიზით. წლეულს ამ პრიზს 2 მფლობელი ჰყავს: თბილისის „დინამოს“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ თავდამსხმელებმა გ. გავაშელმა და ბ. აბდურაიმოვმა გაიტანეს 22 ბურთი თვითეულმა. ბომბარდირთა ათეულში მოხვდნენ აგრეთვე: ე. სტრელცოვი („ტორპედო“, მოსკოვი) — 21, ვ. კოზლოვი და გ. ჰუსაინოვი („სპარტაკი“) — 14-14, ო. კოპაევი (ასკ, როსტოვი) — 13, მ. გერშკოვიჩი („ტორპედო“, მოსკოვი) — 12, დ. ვეკუა („ტორპედო“, ქუთაისი), ე. მალოფეევი („დინამო“, მინსკი) და ა. პუზაჩი („დინამო“, კიევი) — 11-11.

სსრ კავშირის პირველობა

# ბოლო მატჩი

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 16 ნოემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 2:2 (2:2).

„დინამო“: ურუშაძე, პეტრიაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა (რეხვიაშვილი), ჰოხონელიძე, ასათიანი, ილიადი, სიჭინავა, მეტრეველი, გავაშელი, მესხი (გ. ნოდია).

„ტორპედო“: სკოკოვი, იანეცი, პახომოვი, ჩუმაკოვი, პაისი (სპირიდონოვი), შუსტიკოვი, ლენიოვი, სტრელცოვი, მიხაილოვი, გერშკოვიჩი, სავჩენკო.

მსაჯი გ. ბალდასაროვი (ტაშკენტი).

თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვედრათა ისტორია ყველამ კარგად იცის. როცა ეს გუნდები ერთმანეთს ეთამაშებიან საკავშირო პირველობისა თუ თასის მატჩში, მაყურებელს უეჭველად ელის ლამაზი თამაში, დიდი ფეხბურთი.

მაგრამ ეს მატჩი დასანან გამონაკლისს წარმოადგენდა. XXX საიუბილეო ჩემპიონატის ბოლო თამაში ჩვენს სტადიონზე ვერ გამოდგა ტრადიციის შესატყვისი. პირველი ტაიმი ასე თუ ისე საინტერესო იყო, მაგრამ შესვენების შემდეგ ბრძოლის სიმწვავემ იკლო და დარჩენილი 45 წუთის მანძილზე რამდენადმე მაინც ღირსშესანიშნავი მინდორზე არაფერი მომხდარა.

ანგარიში მე-11 წუთზე გახსნა გავაშელმა. გავიდა ცოტა ხანი და სტრელცოვმა გაიტანა საპასუხო გოლი — 1:1. წუთის შემდეგ გავაშელმა კვლავ წინ გაიყვანა „დინამო“ — 2:1. ტაიმის დასასრულს გერშკოვიჩმა ახლო მანძილიდან გაიტანა მეორე საპასუხო ბურთი და ანგარიში 2:2 ბოლომდე შემორჩა ტაბლოს.

გავაშელს შეეძლო კიდევ უფრო გაეზარდა თავისი პირადი ანგარიში, მაგრამ მან სუსტად შეასრულა 11-მეტრიანი დარტყმა და სკოკოვმა იოლად აიღო ბურთი.

• • •

სურათზე: თბილისის „დინამოს“ ცენტრალურ თავდამსხმელს გ. გავაშელს გააქვს პირველი ბურთი ტორპედოელთა კარში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



გაზეთ „თბილისის“ რედაქციას დაწესებული აქვს სპეციალური პრიზი — „ოქროს ბუცი“ ფეხბურთელთათვის, რომლებიც ერთი მატჩის მსვლელობაში შეძლებენ 5 და მეტი ბურთის გატანას მოწინააღმდეგის კარში. ადრე ამ პრიზის მფლობელი იყო თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი ი. დათუნაშვილი, ახლა იგი გადაეცა დინამოელ გოჩა გავაშელს, რომელმაც 5 ბურთის გატანა შეძლო საკავშირო ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“.

ამ ღირსშესანიშნავი წარმატების გარდა, გ. გავაშელმა წლევანდელ საიუბილეო ჩემპიონატში საუკეთესო ბომბარდირის წოდებაც მოიპოვა ტაშკენტელ ბ. აბდურაიმოვთან ერთად.

სურათზე: გ. გავაშელი თბილისის რედაქციის პრიზით ხელში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## გათამაშების ცხრილი

### ძირითადი შემადგენლობანი

საბოლოო მდგომარეობა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 38 | 21 | 15 | 2 | 58—25 | 57 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 38 | 21 | 10 | 7 | 64—43 | 52 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 38 | 18 | 14 | 6 | 60—32 | 50 |
| ცსკა | 38 | 20 | 10 | 8 | 50—30 | 50 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 38 | 19 | 9 | 10 | 58—32 | 47 |
| „დინამო“ (მინსკი) | 38 | 17 | 12 | 9 | 52—36 | 46 |
| „დინამო“ (თბილისი) | 38 | 16 | 13 | 9 | 53—29 | 45 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 38 | 11 | 16 | 11 | 47—49 | 38 |
| „ნეფტჩი“ (ბაქო) | 38 | 13 | 12 | 13 | 42—48 | 38 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 38 | 10 | 17 | 11 | 35—39 | 37 |
| „ზენიტი“ ლენინგრადი) | 38 | 10 | 14 | 14 | 35—49 | 34 |
| ასკ (როსტოვი) | 38 | 11 | 11 | 16 | 44—48 | 33 |
| „ზარია“ (ლუგანსკი) | 38 | 10 | 13 | 15 | 28—41 | 33 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 38 | 9 | 14 | 15 | 38—42 | 32 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 38 | 12 | 8 | 18 | 33—42 | 32 |
| „არარატი“ (ერევანი) | 38 | 11 | 9 | 18 | 34—46 | 31 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 38 | 9 | 11 | 18 | 42—61 | 29 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 38 | 9 | 11 | 18 | 24—45 | 29 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 38 | 9 | 10 | 19 | 27—48 | 28 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 38 | 5 | 9 | 24 | 25—59 | 19 |

## „ა“ კლასი I ჯგუფი

მოსკოვის „სპარტაკისა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ შეხვედრით, რომელიც ტაშკენტში შედგა, დამთავრდა სსრ კავშირის საიუბილეო XXX ჩემპიონატი ფეხბურთში. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. სპარტაკელთა მიერ გატანილი გოლების ავტორები იყვნენ სილაგაძე და ევლენტიევი, ხოლო „პახტაკორის“ ორივე გოლისა — აბდურაიმოვი.

## მატჩები, გოლები, ავტორები

16 ნოემბერს ოდესაში ფრედ (2:2) ითამაშეს ადგილობრივმა „ჩერნომორეცმა“ და მინსკის „დინამომ“. ოდესელთაგან ორივე ბურთი გაიტანა ვარგამ, მინსკელთაგან კი ადამოვმა და სახაროვმა.

თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ მატჩს წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი: დინამოელებმა თავიანთი კოლექტივიდან გააცილეს ცნობილი ფეხბურთელი ი. დათუნაშვილი. მაყურებლები გულთბილი ტაშით შეეგებნენ ვეტერანს.

აქვე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. გამრეკელმა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი გადასცა სპორტის დამსახურებულ ოსტატს ს. მეტრეველს.

შესვენების დროს ჯილდო გადაეცა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდს, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა ამას წინათ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში.

სურათზე: დინამოელებს მწვანე მინდვრიდან გაჰყავთ თავიანთი მეგობარი და თანამებრძოლი ი. დათუნაშვილი.

ფოტო ბ. გიგაურისა.

## პრეტენდენტები ჩაებნენ ბრძოლაში

სოჭში დაიწყო „ა“ კლასის II ჯგუფის ქვეჯგუფებში გამარჯვებული გუნდების ფინალური ტურნირი. გუნდი, რომელიც ამ ტურნირში დაიკავებს პირველ ადგილს, გაისად სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს უმაღლეს ლიგაში.

ნიკოლაევის „სუდოსტროიტელისა“ და ლვოვის „კარპატის“ შეხვედრა დამთავრდა „სუდოსტროიტელის“ გამარჯვებით — 1:0.

სვერდლოვსკის „ურალმაში“ წინ იყო ომსკის „ირტიშთან“ შეხვედრაში: ანგარიში გახსნა ამ გუნდის თავდამსხმელმა პოპუგამ, მაგრამ გუნდმა ვერ შეინარჩუნა გამარჯვება. საპასუხო გოლის გატანა შეძლო ბილენმა — 1:1.

## ტურნირი გორში

20 ნოემბერს გორში იწყება „ბ“ კლასის რსფსრ-ს III და IV ზონებში საუკეთესო მაჩვენებლების მქონე საქართველოს გუნდების ფინალური ტურნირი. მოგვყავს გათამაშების კალენდარი.

**20 ნოემბერი.** „მერცხალი“ (მახარაძე) — „მეტალურგი“ (რუსთავი), „დილა“ (გორი) — „გურია“ (ლანჩხუთი).

**22 ნოემბერი.** „დილა“ — „მერცხალი“, „გურია“ — „მეტალურგი“.

**24 ნოემბერი.** „გურია“ — „მერცხალი“, „დილა“ — „მეტალურგი“.

მატჩები იწყება 13 და 15 საათზე.

## გამარჯვა „მაშუკმა“

დამთავრდა „ბ“ კლასის ზონებში გამარჯვებულ ფეხბურთელთა გუნდების ფინალური ტურნირი, რომელსაც უნდა გამოევლინა რსფსრ-ს ჩემპიონი.

ტურნირი მოიგო პიატიგორსკის „მაშუკმა“, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში დაამარცხა პროკოპიევსკის „შახტიორი“ — 4:1.

# ევროპული ტურნირები

გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის მერვედფინალის რამდენიმე შეხვედრა (ზოგიერთი მატჩი კლუბების ერთმანეთთან შეთანხმების საფუძველზე გადატანილია და შედგება მოგვიანებით).

**ჩემპიონთა თასი:** „აიაქსი“ (ჰოლანდია) — „ფენერბახჩე“ (თურქეთი) 2:0, „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) — „ანდერლეხტი“ (ბელგია) 3:0, აეკ (საბერძნეთი) — „აკადემისკ ბოლდკლუბენი“ (დანია) 0:0, „სელტიკი“ (შოტლანდია) — „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) 5:1.

**თასების თასი:** „დანფერმლაინი“ (შოტლანდია) — „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) 4:0, „ფრეია“ (დანია) — „შლიემა უონდერერსი“ (მალტა) 6:0, „დინამო“ (რუმინეთი) — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ (ინგლისი) 1:1.

# ტიგრან პეტროსიანი: ჭადრაკი იპყრობს მსოფლიოს

ზუსტად ეს აზრი გამოთქვა მსოფლიო ჩემპიონმა, როცა აას-ის კორესპონდენტთან ა. სრებნიცკისთან იწყებდა საუბარს ლუგანოში ახლახან დამთავრებულ საჭადრაკო ოლიმპიადაზე.

— სხვა რომ არაფერი ვთქვათ, შთაბეჭდილებას ახდენს უკვე მონაწილე ქვეყნების რაოდენობაც — 53, — ამბობს პეტროსიანი. მაგრამ საქმე მარტო ციფრი როდია. განა ორი ათეული წლის წინ ვინმე იფიქრებდა, რომ მოჭადრაკეთა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას მიიღებენ ანდორის ან, ვთქვათ, ვირჯინის კუნძულების წარმომადგენლები? ან იმას, რომ ფილიპინების მოჭადრაკეები ოლიმპიადაზე უძლიერესთა ჯგუფში მოხვდებოდნენ? ყველაზე „არასაჭადრაკო" ქვეყნებშიც კი დღეს აშკარად იგრძნობა სწრაფვა ჩვენი თამაშის განვითარებისკენ, მისი საიდუმლოების ამოცნობისკენ. შემთხვევით როდი განაცხადა ვირჯინის კუნძულების წარმომადგენელმა, სულ ახლო მომავალში ჩვენს ქვეყანაში რომელიმე მსოფლიო სახელის მქონე ოსტატს მივიწვევთ გამოცდილების გაზიარების მიზნითო. უნდა ითქვას, რომ, თუმცა ფიდე-ს ხელმძღვანელობას საკმაოდ ხშირად აკრიტიკებენ, მან უთუოდ ბევრი გააკეთა ჭადრაკის პოპულარიზაციისთვის.

● როგორც ცნობილია, საბჭოთა მოჭადრაკეებმა ლუგანოში დიდად დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. რით ახსნით ასეთ იოლ (იქნებ მოჩვენებით?) გზას პირველი ადგილისკენ?

— რასაკვირველია, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ჩვენი გამოსვლა ლუგანოში უზრუნველი ტრიუმფალური გასეირნება იყო. საქმე არაა ისიც, რომ საბჭოთა დიდოსტატები, რომელთა ძალა ისედაც არ იწვევს ეჭვს საჭადრაკო სამყაროში, XVIII ოლიმპიადისთვის განსაკუთრებით კარგად მოემზადნენ. დიდი ხანია ამგვარი შეჯიბრების წინ ასეთი კარგად გააზრებული და სასარგებლო საწვრთნელი ვარჯიში არ ჩატარებულა. მართალია, მე პირადი საქმეების გამო მონაწილეობა ვერ მივიღე, მაგრამ კოლეგებმა მითხრეს, რომ ორმა წინაოლიმპიურმა კვირამ სუხანოვოში (მოსკოვთან ახლოს) თავისი გავლენა მოახდინა მათს ფორმაზე. კიდევ ერთი, პირველი შეხედვით პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალი: ლუგანოში ჩვენ პატარა სასტუმროში ვცხოვრობდით ქალაქის ზედა ნაწილში, ცენტრისგან და ქალაქური ხმაურისგან მოშორებით. ატმოსფერო ხელს უწყობდა მუშაობას, კარგ დასვენებას და საბრძოლო განწყობილებას.

მაგრამ თავისთავად იგულისხმება: მონაწილეთა ოსტატობა და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა რომ არა, ქულებში განსხვავება ასეთი შთამაგონებელი არ იქნებოდა. თუ არ ვცდები, მთელ ოლიმპიადაზე ერთი-ორი პარტიის მეტი არ ყოფილა ისეთი, სადაც ჩვენ ჩამოვრჩებოდით.

● ორიოდე სიტყვა ფიშერზე. ბოლო წლებში არც ერთი საჭადრაკო ინტერვიუ ისე არ იბეჭდება, რომ მისი სახელი არ მოიხსენიებოდეს. ჩვენც ტრადიცია უნდა დავიცვათ. რატომ არ თამაშობდა ფიშერი ლუგანოში?

— თავიდან, როგორც მუდამ, რეგლამენტზე იყო კამათი. ფიშერსა და რეშევსკის, რომლებიც, სხვათა შორის, პირველად აღმოჩნდნენ ერთ გუნდში, რელიგიური მოსაზრებებით არ შეეძლოთ თამაში გარკვეულ დღეებში. მე შევიტანე წინადადება: რამდენადაც ამერიკის გუნდი ფინალში ასეც შევა და ისეც, წინასწარ ტურნირებში მას შეუძლია კვირაში ერთხელ და ორჯერ ლიდერების გარეშეც გავიდეს ფონს. ფინალში კი რამეს მოვიფიქრებდით. ამერიკელებმა არ მიიღეს ეს წინადადება. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ოლიმპიადის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს იმ დღეებში, როცა ფიშერსა და რეშევსკის არ შეეძლოთ თამაში ერთს მზის ამოსვლამდე და მეორეს მზის ჩასვლამდე (ასეთ წვრილმანებში ვერ ვერკვევი), ტურნირის ყველა პარტია სხვა საათებისთვის გადაეტანათ. ფიშერმა საქმე გაამარტივა: პირველ ტურზე რომ მოვიდა და ნახა, რა ვითარებაში უნდა გვეთამაშა, დარბაზიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა.

● რით არ მოეწონა ვითარება?

— უნდა ვაღიარო, უკმაყოფილო მარტო ის არ ყოფილა. ეს ვითარება არც მე და ჩემს კოლეგებს მოგვწონდა. წარმოიდგინეთ დარბაზი, სადაც თავი მოუყრია დაახლოებით სამ ასეულ მოჭადრაკეს, მწვრთნელს, გუნდების წარმომადგენელს, მაყურებელს, დარბაზი ყოველგვარი ვენტილაციის გარეშე და ამასთან, ცუდად განათებული. მე მხედველობას არასოდეს ვუჩიოდი, მაგრამ საკმარისი იყო ერთი-ორჯერ დაძაბულად ჩავკვირვებოდი პარტიას, რომ უკვე თვალები მტკიოდა. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების წინ, ვთქვათ, მეხიკოში მონაწილე ქვეყნებისა და საერთაშორისო ფედერაციების წარმომადგენლები ადრე ჩადიან შეჯიბრების ადგილებზე, ეცნობიან პირობებს და სპორტულ ნაგებობათა მდგომარეობას. რატომ არ დავნერგოთ ეს სასარგებლო ჩვევა დიდი საჭადრაკო შეჯიბრების პრაქტიკაშიც? ჩვენთვის ხომ ოლიმპიადები საჭადრაკო სამყაროს საუკეთესო ძალების ჭეშმარიტი დათვალიერებაა. ისეთ პირობებში კი, ლუგანოში რომ გვქონდა, მოჭადრაკეებს თამაში, რბილად რომ ვთქვათ, უჭირთ.

მე, რა თქმა უნდა, არ ვამართლებ რობერტ ფიშერის უდისციპლინობას. მხოლოდ მინდა გამოვთქვა იმედი, რომ ჩემს სურვილს (მას კი, დარწმუნებული ვარ, ბევრი შეუერთდება) ყურად იღებენ მომავალი საჭადრაკო ოლიმპიადების ორგანიზატორები.

● კიდევ ერთი უცხოელი დიდოსტატი, რომლის თამაშიც ძალიან აინტერესებთ საბჭოთა ჭადრაკის მოყვარულებს — ბენტ ლარსენი. რატომ გამოვიდა იგი ასე წარუმატებლად ოლიმპიადაში, სადაც რამდენიმე პარტია წააგო?

— ლარსენის მიდგომა საჭადრაკო ბრძოლის სპორტული ასპექტებისადმი ვერასგზით ვერ დაიცავს მას მარცხისგან. ლარსენს მეტისმეტად სჯერა ბედნიერი ვარსკვლავისა და ამიტომ ხშირად ობიექტურად ვეღარ აფასებს თავის პოზიციას, თავის შესაძლებლობებს.

● რა შეგიძლიათ გვითხრათ ოლიმპიადის საერთო შემოქმედებით დონეზე?

— არ მინდა ზოგადი სიტყვებით გიპასუხოთ. საჭიროა შევისწავლოთ და გავაანალიზოთ ლუგანოში ნათამაშევი ბევრი პარტია, მე კი, ბუნებრივია, ეს ვერ მოვასწარი. რა თქმა უნდა, პირველი შთაბეჭდილებებიდან ზოგიერთი რამ მახსოვს. მომეწონა, მაგალითად, პოლუგაევსკის თამაში არგენტინელ როსეტოსთან.

● საკუთარი პარტიებიდან რომლებს აღნიშნავდით?

— ვერ ვიტყვი, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი შემოქმედებითი (არა სპორტული, რა თქმა უნდა) მხარით, შემიძლია გითხრათ, რომ კმაყოფილება მაგრძნობინა ბულგარელ ბობოცოვთან პარტიაში მიგნებულმა იდეამ, რომელიც პაიკის შეწირვასთან იყო დაკავშირებული. მიმზიდველია მისი გარეგნული პარადოქსულობა.

● სსრ კავშირის ნაკრების საშუალო ასაკი ლუგანოში 40 წელს მიუახლოვდა. ბევრი ხომ არ არის?

— მოჭადრაკე ახალგაზრდაა მანამ, სანამ კარგად თამაშობს. საერთოდ, მე ოლიმპიადაზე ყურადღებით ვაკვირდებოდი ახალგაზრდობას. განსაკუთრებით მაინტერესებდა ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონის, პუერტო-რიკოელი კაპლანისა და ბრაზილიელი მეკინგის თამაში. კაპლანს განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოუხდენია, შეიძლება იგი მომავალში უკეთ გამოვიდეს. მეკინგი კი უკვე დღესაა მართლაც ძლიერი მოჭადრაკე, რომელიც ახლოს დგას დიდოსტატურ დონესთან. სხვათა შორის, იგი ოცნებობს სსრ კავშირში ჩამოსვლაზე და ჩვენს ოსტატებთან, განსაკუთრებით, ახალგაზრდებთან შეხვედრაზე, მე ვესაუბრე მას ამის შესახებ და მეკინგმა ძალიან ინანა, რომ ასეთი შეხვედრა გაისად არ შეიძლება მოეწყოს. იგი სწავლას ამთავრებს.

რაკი სიტყვა ახალგაზრდა მოჭადრაკეებზე ჩამოვარდა, თავს ნებას მივცემ ოლიმპიადას დროებით გადავუხვიო და შინაურ საქმეებს დავუბრუნდე. დეკემბერში სტარტს იღებს ქვეყნის ჭაბუკთა გუნდური ჩემპიონატი. ჩემი აზრით, ჭადრაკის საკავშირო ფედერაციამ ტყუილად დააწესა შემზღუდველი ასაკობრივი ცენზი ამ შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის. რატომ არ შეიძლება გუნდში შევიყვანოთ 1951 ან 1953 წელს დაბადებული ოსტატი? ძალიან მაღალია საბოლოო საზღვარიც: 20 წელი. ეს უკვე ჭაბუკთა კი არა, მოზრდილთა შეჯიბრების მონაწილეა. ვფიქრობ, ასეთი ხელოვნური ზომები მხოლოდ აფერხებს საჭადრაკო ნიჭის განვითარებას.

● რა აზრისა ხართ იმ გარემოებაზე, რომ ფიდე-მ მაინც გადაწყვიტა პრეტენდენტთა შეჯიბრების ძველი, სამატჩო ფორმის შენარჩუნება?

— ადრე მე თვითონაც მატჩების მომხრე ვიყავი. მაგრამ შემდეგ შევუერთდი ჩემი ამხანაგების უმეტესობას, საბჭოთა დიდოსტატებს, რომლებიც პრეტენდენტთა ტურნირის ფორმულას უფრო სამართლიანად თვლიან. ფიდე ალბათ შიშობდა, რომ სატურნირო სისტემის დროს უფრო ცხადი იქნება უპირატესობა საბჭოთა კავშირისა, სადაც ყველაზე მეტი უმაღლესი კლასის დიდოსტატია. მე რომ მკითხო, ეს სისულელეა: სულ ერთია, გაიმარჯვებს უძლიერესი.

● ვინ მიგაჩნიათ საჭადრაკო სეზონის გმირად?

— ეჭვი არ არის, ბორის სპასკი.

● როდის დაიწყება თქვენი მატჩი სპასკისთან მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის?

— მოლაპარაკების მიხედვით, 15 აპრილს, მოსკოვში.

● განზრახული თუ გაქვთ მატჩამდე რომელიმე შეჯიბრებაში გამოსვლა?

— დიახ. 23 ნოემბერს ესპანეთში შემადგენლობით მეტად ძლიერი საერთაშორისო ტურნირი იხსნება. დავასახელებ რამდენიმე მონაწილეს: სპასკი, კორჩნოი, პეტროსიანი (სსრ კავშირი), ლარსენი (დანია), გლიგორიჩი, მატანოვიჩი, ივკოვი (იუგოსლავია), ოლაფსონი (ისლანდია), გეორგიუ (რუმინეთი), დონალდ ბირნი და ბენკო (აშშ), ბილეკი (უნგრეთი).

● შემდეგ?

— 27 დეკემბრისთვის დანიშნულია ჩემი დისერტაციის დაცვა ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო წოდების მოსაპოვებლად.

● და კვლავ ჭადრაკი?

— რა თქმა უნდა. მატჩისთვის მზადება.

● მისი ძირითადი კომპონენტები?

—ნაცადი: ჭადრაკი, თხილამურები, ბილიარდი.

# საკითხი ჯერჯერობით გადაუჭრელია

ახლახან მეხიკოდან თბილისს დაბრუნდა სსრ კავშირის ახალგაზრდა ჩოგბურთელთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი თეიმურაზ კაკულია. ქართველმა სპორტსმენმა მეხიკოს ოლიმპიადის დღეებში რამდენიმე საჩვენებელ ტურნირში იასპარეზა. „ლელოს" კორესპონდენტი შეხვდა კაკულიას და ესაუბრა. ქვემოთ გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

● როგორი იყო თქვენი გამოსვლების პროგრამა მექსიკაში და თქვენთან ერთად სსრ კავშირიდან კიდევ ვინ გაემგზავრა ოლიმპიადის ქვეყანაში?

— ჩემთან ერთად მექსიკაში იყვნენ ახალგაზრდა ჩოგბურთელები ზ. იანსონე, ვ. კოროტკოვი და ვ. ვოლკოვი. რაც შეეხება პროგრამას, იგი ასეთი იყო: I ტურნირი უნდა გაგვემართა ქალაქ გვადალახარაში, II — მეხიკოში, ხოლო III — ქალაქ ტორონტოში. გარდა ამისა, მეხიკოში მასპინძლებთან გავმართეთ საერთაშორისო გუნდური შეხვედრა დევისის თასის გათამაშების ფორმულით (ე. ი. ჯერ გაიმართა ერთეულთა 2 შეხვედრა, შემდეგ წყვილთა 1 შეხვედრა და ბოლოს, კვლავ ერთეულთა 2 შეხვედრა).

● როგორ წარიმართა შეხვედრები?

— გვადალახარაში გამართულ ტურნირში 64 ვაჟი მონაწილეობდა. საბჭოთა ჩოგბურთელთაგან მხოლოდ მე გავედი მეოთხედფინალში. ამ ეტაპზე ჩემს გარდა იასპარეზეს ისეთმა ძლიერმა ჩოგბურთელებმა, როგორიც არიან სანტანა, ოსუნა, პიეტრანჯელი, ორანტესი, ფიპგიბონი, ბუდინგი, დარმონი. ნახევარფინალის საგზურისთვის ოსუნას შევხვდი. ბრძოლა ძალიან დაძაბული გამოდგა — ვითამაშეთ ხუთივე ხელი. ოსუნამ ბოლო, გადამწყვეტ პარტიაში იმარჯვა (8:6) და ნახევარფინალშიც გავიდა. ამ ტურნირში უძლიერესის სახელი მოიპოვა სანტანამ, რომელმაც ფინალში დაამარცხა ოსუნა.

მეორე ტურნირშიც 8 უძლიერეს ჩოგბურთელს შორის მოვხვდი, ამის შემდეგ კი ფარ-ხმალი დავყარე: მეოთხედფინალში დავმარცხდი ბუდინგთან. ფინალში იასპარეზეს ოსუნამ და ბუდინგმა. გაიმარჯვა ოსუნამ. რაც შეეხება შერეულ და ვაჟთა წყვილების შეჯიბრებას, აქ არც თუ ცუდი შედეგები მქონდა. ორივე თანრიგში III ადგილები მოვიპოვე: შერეულ წყვილებში ბრაზილიელ პეტერსთან ერთად, ვაჟთა წყვილებში — ეკვადორელ გუტმანთან ერთად. აღსანიშნავია ისიც, რომ მეორე ტურნირში წარმატება მოიპოვეს კოროტკოვმა და იანსონემ. მათ I ადგილი დაიკავეს შერეულ წყვილებში.

ყველაზე დიდ წარმატებას ქალაქ ტორონტოში მივაღწიე. ვაჟთა ერთეულების შეჯიბრებაში პირველი ვიყავი: ფინალში დავამარცხე კოროტკოვი. მანამდე გავიმარჯვე მექსიკის, ბრაზილიისა და გფრ-ის ძლიერ ჩოგბურთელებთან. I ადგილი მხვდა წილად ვაჟთა წყვილების შეჯიბრებაშიც (გფრ-ის წარმომადგენელ ბუდინგთან ერთად). ფინალში მე და ჩემმა პარტნიორმა დავამარცხეთ კოროტკოვი და ვოლკოვი. შერეული წყვილების ფინალში კოროტკოვმა და იანსონემ მოგვიგეს მე და პეტერსს.

სსრ კავშირ — ბრაზილიის მატჩში გავიმარჯვეთ „მშრალი" (5:0) ანგარიშით. ჩვენი გუნდის ღირსებას ვიცავდით მე, კოროტკოვი და ვოლკოვი.

● რა იყო მიზეზი, რომ სწორედ ოლიმპიური თამაშების დღეებში გაიმართა ჩოგბურთელთა საჩვენებელი ტურნირები?

— მოგეხსენებათ, ჩოგბურთი დიდი ხანია ოლიმპიური თამაშების პროგრამაში არ შედის. ახლა ბევრი ქვეყნის შესაბამისი ფედერაციები იღწვიან და მეცადინეობენ იმისთვის, რომ ჩოგბურთი დაუბრუნდეს ოლიმპიურ თამაშებს. სწორედ ამიტომ გაიმართა მექსიკაში აღნიშნული ტურნირები, სწორედ ამიტომ მოეწყო გვადალახარაში ვაჟთა წყვილების სპეციალური საჩვენებელი შეხვედრა (იგი ტურნირის პროგრამით არ გამართულა) და ამ შეხვედრაზე მიიწვიეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ე. ბრენდეჯი. ამ მატჩში მეც მივიღე მონაწილეობა ბუდინგთან ერთად. ჩვენი მეტოქეები იყვნენ კოროტკოვი და ვოლკოვი. შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. საკმარისია ითქვას, რომ ასპარეზობას 20 ათასი მაყურებელი დაესწრო.

● როგორ ფიქრობთ, შეიტანენ თუ არა ჩოგბურთს მომავალი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში?

— ჯერჯერობით ეს საკითხი გადაუჭრელი რჩება. ყოველივე ამას ხელს უშლის ე. წ. ოპენ-ტურნირები, რომლებიც წლეულს გაიმართა. ყველაზე დიდი ოპენ-ტურნირი უიმბლდონისა იყო. ამ შეჯიბრებებში, როგორც უკვე იცით, მონაწილეობდნენ პროფესიონალებიცა და მოყვარულებიც. ზოგიერთები ეჭვის ქვეშ აყენებენ იმ მოყვარულთა მოყვარულობის სტატუტს, რომლებმაც ოპენ-ტურნირებში მიიღეს მონაწილეობა. ერთი სიტყვით, მომავალ, მიუნჰენის ოლიმპიადამდე 4 წელია დარჩენილი და სწორედ ამ დროში უნდა გადაწყდეს, დაუბრუნდება თუ არა ჩოგბურთი ოლიმპიურ თამაშებს. ერთი კი ვიცი: იმ შემთხვევაში, თუ ჩოგბურთს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში არ შეიტანენ, გფრ-ის ოლიმპიური კომიტეტი მექსიკელთა მსგავსად მიუნჰენის ოლიმპიადის დღეებში საჩვენებელი ტურნირების გამართვას აპირებს.

● მექსიკაში კარგა ხანს იყავით, რამ მიიპყრო თქვენი განსაკუთრებული ყურადღება?

— ძალიან ბევრმა რამემ. ბუნებრივია, ყურადღების ცენტრში იყო ოლიმპიადა, უაღრესად დაძაბული ბრძოლებითა და ერთობ მოულოდნელი, უფრო ზუსტად, სენსაციური შედეგებით. თვალს გვტაცებდა მექსიკის უძველესი ძეგლების სიდიადე, მექსიკელთა სტუმართმოყვარეობა და გულუხვობა. მეხიკო ძალზე ეგზოტიკური ქალაქია. ერთხელ მაგალითად, დედაქალაქის ქუჩაზე, რომელიც ერთთავად დიდი სიჩქარით მოსრიალე ათასობით სხვადასხვა მარკის მანქანითაა გაჭედილი, ცხენზე ამხედრებული და ლასო-მომარჯვებული მექსიკელი შევხვდა. არ ვიცი, საით მიემართებოდა მხედარი, მაგრამ ფოტორეპორტიორისთვის იგი უთუოდ საინტერესო ობიექტი იყო და „ლელოს" სპეციალურმა კორესპონდენტმა მ. ზარგარიანმაც არ დააყოვნა...

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04328